

შპს „ვოჩ ვორლდი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-----1
მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-----2
ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-----3
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-----4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	-----5-8

შპს „ვოჩ ვორლდი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

		31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1	4,789,317	6,718,761	7,663,115
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2	8,073,532	6,175,279	5,799,234
სავაჭრო მოთხოვნები		242,308	217,843	302,208
მისაღები პროცენტები		879,394	200,930	-
გადახდილი ავანსები		7,776,729	4,524,557	682,486
სხვა მიმდინარე აქტივები		310,074	187,388	154,142
სულ მიმდინარე აქტივები	-	22,071,354	18,024,758	14,601,185
სულ მიმდინარე აქტივები		58,196	121,680	136,275
ძირითადი საშუალებები		132,654	30,670	107,627
სხვა გრძელვადიანი აქტივები		28,187	35,937	5,375
სხვა არამატერიალური აქტივები	-	219,037	188,287	249,277
სულ გრძელვადიანი აქტივები	-	22,290,391	18,213,045	14,850,462
სულ აქტივები		12,135,634	11,024,256	11,807,021
გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი		70	225,974	76,517
სავაჭრო ვალდებულებები		203,630	329,030	391,919
მიღებული ავანსები		28,939	42,546	22,536
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	12,368,273	11,621,806	12,297,993
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,621,184	9,127,174	10,667,968
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	9,621,184	9,127,174	10,667,968
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	21,989,457	20,748,980	22,965,961
სულ ვალდებულებები		50	50	50
საწესდებო კაპიტალი		300,884	(2,535,985)	(8,115,549)
გაუნაწილებელი მოგება	-	300,934	(2,535,935)	(8,115,499)
სულ საკუთარი კაპიტალი	-	22,290,391	18,213,045	14,850,462
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	-	22,290,391	18,213,045	14,850,462

მარიამ ძნელაძე

ფინანსური მენეჯერი

თბილისი, საქართველო

შპს „გოგ ვორლდი“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან		15,161,137	15,014,823
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		103,100	97,130
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	3	(9,345,509)	(9,409,444)
საერთო მოგება		5,918,728	5,702,509
საპროცენტო ხარჯი	5	(903,650)	(964,656)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	6	(1,349,081)	(1,283,734)
იჯარის ხარჯი		(434,758)	(55,908)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(704,594)	(560,247)
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(71,233)	(66,262)
სხვა შემოსავალი		410,171	278,769
საპროცენტო შემოსავალი		748,416	441,892
საოპერაციო მოგება		3,613,999	3,492,363
წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	7	(777,130)	2,087,201
მოგება დაბეგვრამდე		2,836,869	5,579,564
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი/მოგება		2,836,869	5,579,564
		-	-

მარიამ ძნელაძე

ფინანსური მენეჯერი

თბილისი, საქართველო

შპს „ვოჩ ვორლდი“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	2023	2022
მოგება დაბეგვრამდე	3,613,997	3,492,362
კორექტირება		
ცვეთა და ამორტიზაცია	71,233	1,460
საპროცენტო ხარჯი	903,650	963,288
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	5,722	(362,694)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(3,955,099)	(3,958,636)
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(2,020,939)	(409,291)
კლება/(ზრდა) სხვა მოკლევადიან აქტივებში	(101,985)	76,957
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(364,910)	106,578
(კლება)/ზრდა საგადასახადო ვალდებულება	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(1,848,331)	(89,976)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(17,427)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(17,427)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ცვლილება გრძელვადიან სესხებში	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(1,848,331)	(107,403)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	(81,113)	(836,951)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6,718,761	7,663,115
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,789,317	6,718,761

მარიამ ძნელაძე

ფინანსური მენეჯერი

თბილისი, საქართველო

შპს „ვოჩ ვორლდი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი, 2020	50	(12,063,481)	(12,063,431)
პერიოდის მოგება/ზარალი	-	3,947,932	3,947,932
31 დეკემბერი, 2021	50	(8,115,549)	(8,115,499)
პერიოდის მოგება/ზარალი	-	5,579,564	5,579,564
31 დეკემბერი, 2022	50	(2,535,985)	(2,535,935)
პერიოდის მოგება/ზარალი	-	2,836,869	2,836,869
31 დეკემბერი, 2023	50	300,884	300,934

მარიამ ძნელაძე

ფინანსური მენეჯერი

თბილისი, საქართველო

შპს „ვოჩ ვორლდი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვოჩ ვორლდი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში 11/08/2011. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი. კრწანისის რაიონი, გუდიაშვილის მოედანი N4. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საათებისა და საიუველირო ნაწარმის საცალო რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ეროვნულ ვალუტაში „ლარი“. საწარმოს საანგარიშო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას;
- მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას;
- სააღრიცხვო პოლიტიკას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს;

2.1 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები - კომპანიის ფულადი სახსრები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს და საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულს. უცხოურ ვალუტაში არსებული ფული აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი 31 დეკემბრის ოფიციალური გაცვლითი კურსით;

2.2 სავაჭრო მოთხოვნები - სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულია საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან, რომელიც გამომჟღავნებული იყო საანგარიშგებო პერიოდში, თუმცა კომპანიას არ ჰქონდა მსგავსი მოთხოვნა პერიოდის ბოლოს. სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება;

2.3 სასაქონლო მატერიალური მარაგები - სასაქონლო მატერიალური მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;

2.4 ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მათი ისტორიული ღირებულებით, რაც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და მუშა მდგომარეობაში მოყვანასთან.

შპს „ვოჩ ვორლდი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით შემდეგნაირად:

ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი 5-7 წელი;

კომპიუტერი და სხვა ინვენტარი 3-5 წელი;

2.5 სავაჭრო ვალდებულებები - სავაჭრო ვალდებულებებში იგულისხმება მომწოდებლისთვის გადასახდელი ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს. სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების შეფასება ხდება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;

2.6 ხელფასები - ხელფასები, ბონუსები, პრემიები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა კომპანიამ მიიღო შესაბამისი სერვისი დასაქმებულისაგან;

2.7 შემოსავლების და ხარჯების აღიარება - შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა მყიდველს და შესაძლებელია შემოსავლის საიმედო შეფასება. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

2.8 გადასახადები - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ქონების გადასახადით, საშემოსავლო გადასახადით. კომპანია იხდის დამატებული ღირებულების გადასახადს, რომელიც უკავშირდება საქონლის მიწოდებას ან ავანსის მიღებას და ახდენს საბაჟოზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლას საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე;

2.9 იჯარა - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციოდ, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული რისკისა და სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად წრფივი მეთოდით საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

2.10 კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2022 წლის 30 სექტემბერს;

2.11 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში;

2.12 ფუნქციონირებადი საწარმო - 2022 წელს კომპანიამ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა, რათა უზრუნველყოს მიმდინარე და მომავალი საქმიანობის გაგრძელება. ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ, შეძლებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

შპს „ვოჩ ვორლდი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული სალაროში	878,871	175,230
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,910,446	6,543,532
სულ	4,789,317	6,718,761

2. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8,073,532	6,175,279
სულ	8,073,532	6,175,279

3. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	9,314,646	9,387,297
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	30,863	22,147
სულ	9,345,509	9,409,444

4. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია 2023 და 2022 წლების დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ცვეთა და ამორტიზაცია	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მატერიალური აქტივების ცვეთა	64,423	64,423
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	7,106	1,839
სულ	71,233	66,262

შპს „ვოჩ ვორლდი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2023 და 2022 წლების დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საპროცენტო ხარჯი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	903,650	964,656
სულ	903,650	964,656

6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 2023 და 2022 წლების დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მარკეტინგის ხარჯი	268,940	169,545
ბანკის მომსახურების ხარჯი	157,839	156,113
დაცვის ხარჯი	68,323	55,896
საკონსულტაციო მომსახურება	6,729	22,978
საოფისე ხარჯი	24,628	24,067
კომუნალური ხარჯი	21,174	18,395
დაზღვევის ხარჯი	10,890	12,743
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი	790,558	823,997
სულ	1,349,081	1,283,734

7. წმინდა მოგება / დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა მოგება / დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2023 და 2022 წლების დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

წმინდა მოგება / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოგება / (ზარალი) სესხის გადაფასებიდან	(410,797)	1,540,794
მოგება/ (ზარალი) სესხზე დარიცხული პროცენტის გადადასებიდან	(207,729)	1,746,053
სხვა	(158,604.36)	(1,199,646.06)
სულ	(777,130)	2,087,201